ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №23

ქ. ბათუმი 11 მარტი 2019 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის „ს[1]” პუნქტის თანახმად, ერთი მხრივ შპს ”შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი” წარმოდგენილი დირექტორი დავით ლეკვეიშვილი (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე შპს „კორვეტი“-ს წარმოდგენილი დირექტორი ბადრი აბულაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს „შემსყიდველისთვის“ დანართი №1–ში გათვალისწინებული საქონლის მიწოდება (CPV-30125100).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1085.00 (ათასს ოთხმოცდახუთი ლარი)ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მიწოდების ვადა, მომსახურების მიღება – ჩაბარების წესი

4.1 საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4.2 საქონელი და მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

4.3 მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

4.4 შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია შპს ”შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრის” მეკუჭნავე ნოდარ მაღლაკელიძე და ქსელის ადმინისტრატორი კახაბერ კეჟერაძე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,02% პროცენტის ოდენობით;

6.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადაჭარბებს ხელშეკრულების ფასის 0,2% პროცენტს, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

6.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

6.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

8. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

11. სხვა პირობები

11.1 არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
11.2 ყველა სხვა საკითხი, რაც გათვალისწინებული არ არის ამ ხელშეკრულებით გადაწყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
11.3 ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად, ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან", ერთი ინახება „მიმწოდებელთან".

12. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს "შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის	შპს „კორვეტი"
შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი"	ს/ნ 445454749
ს/ნ 245626443	ბათუმი, მემედ აბაშიძის გამზირი N 63
ქ. ბათუმი, შ.რუსთაველის ქ.N51	ბინა N2
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
სს „ლიბერთი ბანკი"	სს „საქართველოს ბანკი"
ა/ნ GE96LB0113131624387001	ა/ნ GE41BG0000000700449100

დირექტორი:	დ.ლეკვეიშვილი	დირექტორი:	ბ. აბულაძე

Badri Abuladze

Digitally signed by Badri Abuladze
Date: 2019.03.12 01:03:10 +04'00'

ფასების ცხრილი

№	დასახელება	CPV-კოდი	რაოდენობა	ერთ. ფასი (ლარი) (დღგ–ს ჩათვლით)	საერთო ფასი (ლარი) (დღგ–ს ჩათვლით)
1	პრინტერი - HP Lazerjet pro M1536dnf Multifuction Printer- სათვის ახალი კატრიჯი	CPV-30125100	5	30.00	150.00
2	პრინტერი Canon i-SENSYS MF3010-სთვის ახალი კატრიჯი.	CPV-30125100	5	30.00	150.00
3	პრინტერი HP Lazerjet 1522 Multifuction Printer- სათვის ახალი კატრიჯი.	CPV-30125100	5	30.00	150.00
4	პრინტერი HP Lazerjet P1005 PRINTER- სათვის ახალი კატრიჯი.	CPV-30125100	5	30.00	150.00
5	პრინტერი - HP Lazerjet pro M 132 MFP- სათვის ახალი კატრიჯი.	CPV-30125100	3	30.00	90.00
6	კატრიჯების კომპლექტი HP CF35OA Black for Color Li Pro M176MFP, M177 4ფერი.	CPV-30125100	1	200.00	200.00
7	ლაზერული პრინტერის კატრიჯის დატუმბვა, (CE505A-150გრ, Q5949A-140გრ, 725-100 გრ)	CPV-30125100	15	13.00	195.00
ჯამი				**1085.00**	

Badri Abuladze

Digitally signed by Badri Abuladze
Date: 2019.03.12 01:04:30 +04'00'

_____ _____

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი 11.03.2019 წ.

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ ჩვენი მონაწილეობა, შპს "შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელ სამეცნიერო კვლევით ცენტრსა" და შპს "კორვეტს" შორის 2019 წლის 11 მარტს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N23-ის გაფორმებისას არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

დირექტორი: დ.ლეკვეიშვილი

მეკუჭნავე: ნ.მაღლაკელიძე

ქსელის ადმინისტრატორი: კ. კეჟერაძე